

## რუსუდან ჩაჩანიძე

### Krakow University of Economics

„ბედნიერი ვარ რომ კავკასიის უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა მესარგებლა ერაზმუს+ ის აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამით. პროგრამის ფარგლებში გავემგზავრე კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტში, სადაც ვიმუშავე მარკეტინგისა და ბიზნეს ინოვაციების პროგრამების სტუდენტებთან.

ძალიან სასიამოვნო და საინტერესო იყო კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტის სტუდენტებთან მუშაობა. შეთავაზებული სალექციო კურსის მიმართ დიდი დაინტერესება დაფიქსირდა, რამაც ასევე განაპირობა ის, რომ პროგრამის დასრულების შემდეგაც ვაგრძელებთ ურთიერთობას, მასალებისა და მოსაზრებების გაცვლას. გარდა სასწავლო კურსისა, კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი დაინტერესდა კავკასიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით კვლევითი მიმართულებით. ვიმედოვნებ, რომ გავაგრძელებთ ამ თემაზე თანამშრომლობას. ერაზმუს+ ის პროგრამა ძალიან სასარგებლო და სასიამოვნო გამოცდილება იყო ჩემთვის.“